სიპ ქალაქ რუსთთავის N21 საჯარო სკოლის

IV-გ კლასის მოსწავლე - ანანო ნებიერიძე

ექსტი შთაგონებულია გურამ პეტრიაშვილის

ლიტერატურული ზღაპრით - ,,წვიმის მოყვარული კაცი''

მზის მოყვარული გოგონას

ამბავი

ერთ პატარა ქალაქში ცხოვრობდა ერთი გოგონა. მას ძალიან უყვარდა მზე. მის ქალაქში ხშირად წვიმდა და ეს ძალიან არ მოსწონდა. ას მზე იმიტომ უყვარდა, რომ მზისფერი თმები ჰქონდა და ყოველთვის ისე ლამაზად უჩანდა თმა, რომ კაცი თვალს ვერ მოაშორებდა.

ერთ დღეს გოგონა დილით ფეხზე ადგა და რას ხედავს - თურმე კაშკაშა მზე ამოსულა და ისე გააბრწყინა ყველაფერი... ძალიან გაუხარდა. ჩავიდა ეზოში და აქეთ-იქით დარბოდა. ცებ რაღაც დაეცა მსუბუქად ხელის გულზე: ეს ოქროსფერი ბურთულა მზემ აჩუქა გოგონას,რადგან მას მზე ძალიან უყვარდა. ჯერ ძალიან გაუკვირდა, ეს რა იყო და შემდეგ კარგად დაათვალიერა. ბოლოს მიხვდა, რაც უნდა ექნა. ჩათესა ქოთანში და აივანზე დადო. ახლა ამ ქალაქში იშვიათად მოდიოდა წვიმა. გოგონამ როცა ქოთანი აივანზე გადადო, დაინახა ამოსული ყვითელი ყვავილი. მას ყვითელი ფოთლები დაბლა ჰქონდა დაშვებული.

როცა მაისის თვე დაიწყო, გოგონამ დაინახა როგორ ეცემოდა მზის სხივები ყვავილს და როგორ სცვიოდა პატარ-პატარა ოქროსფერი ბურთულები. შემდეგ ბავშვები მოვიდნენ და ბურთულებს კრეფდნენ. ისინიც თესავდნენ ქოთნებში და მათაც ეზრდებოდათ ნელ-ნელა ყვითელი, სტაფილოსფერი, წითელი ფერის ყვავილები.ზოგი წითელი კოპლებით იყო და თითქმის ყველა ქალაქში ყველას ჰქონდა ყვავილები, ეცემოდათ ნელ-ნელა მზის სხივები და ცვიოდა ოქროსფერი ბურთულები. ქალიშვილებს ასეთი აზრი მოუვიდათ - გადაწყვიტეს თავიანთი ყვავილები ჩაეტანათ ეზოში და როცა გოგონა ჩამოვიდოდა, ირგვლივ ეცეკვათ.

ერთ მშვენიერ დღეს გოგონამ გადაწყვიტა მზიან ამინდში ჩასულიყო და ხელები გაეშალა, მზის ქვეშ ეტრიალა. როცა ეზოში ჩავიდა და დატრიალდა, ზუსტად ამ დროს გოგონები მის ირგვლივ იდგნენ და ცეკვავდნენ. როცა მან ხელები ჩამოუშვა და მიმოიხედა, შერცხვა, თქვენ აქ რა გინდათო?- ჰკითხა.

ნელ-ნელა ისე გაიზარდა ყვავილები,რომ მათი ფოთლები ქოლგასავით გახდა.ყვავილებს კარგი სურნელი ასდიოდა. ბავშვები ამით ტკბებოდნენ. ქალაქში ყველას მოჰქონდა თავისი ყვავილები , ქუჩაში ქოთნები ეჭირათ ხელში და აქეთ-იქით დაჰქონდათ.

ერთ მშვენიერ დღეს გოგონამ გაიღვიძა და გარეთ გავიდა. მას თავისი დღიური ჰქონდა, რომელშიც ამბებს წერდა. უკვე ისე ძალიან აღარ უყვარდა მზე, ყოველთვის დღიურზე ფიქრობდა.

ერთ დილას აივანზე გავიდა, თვალები დახუჭა და გაიფიქრა: დღეს გოგონები ჩემ ირგვლივ არ იცეკვებენ, იმიტომ რომ ჯერ კიდევ ეძინებათო; დაამთქნარა და ისევ დაიძინა. გოგონა ძალიან შეშფოთებული ადგა ფეხზე. უცბად გავარდა აივანზე და დაინახა, რომ ყვავილი თავისი ქოთნიანად აფრინდა; ჩავიდა ეზოში და გარბოდა,თან ტიროდა. ქოთანი ნელ-ნელა აფრინდა უფრო ზევით. როცა ბავშვებმა გაიღვიძეს,დაინახეს, რომ ქოთანი და ყვავილი გამქრალიყო. გოგონამ დიდი შეცდომა დაუშვა. ბავშვებმა გადაწყვიტეს, თვითონ გაეკეთებინათ ქოლგები, ქოლგას არც ტკბილი სუნი ჰქონდა და არც არაფერი. რა თქმა უნდა, მათ თავიანთი ყვავილები ერჩივნათ.

ბავშვებმა გადაწყვიტეს, მოეძებნათ ოქროსფერი ბურთულები. აქეთ-იქით სერიოზულად იყურებოდნენ, ერთმანეთს ერიდებოდნენ. მთელი ქალაქი მოიარეს, მაგრამ ოქროსფერი ბურთულები ვერსად იპოვეს...